

საქართველოდან და კავკასიიდან ჯარისკაცთა გაწვევის გამო

ტფილისი, 5 სექტემბერი, 1886 წელი

აქაურს გაზეთებში უკვე გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება შესახებ ჯარისკაცად გამოყვანისა ამიერკავკასიის მცხოვრებთაგან. ჩვენ ამ ჟამად მოვიყვანთ მხოლოდ უმთავრეს ცნობებს ამ ახალის წესდებისას, რომლის ძალითაც ჯარისკაცად ყოფნა და სამხედრო სამსახური საყოველთაო ვალდებულებად დაიდვა. ჯარისკაცები უნდა გამოვიდნენ ყოველ წლივ წილის ყრით. წილის-ყრა უნდა მოხდეს 15-ს ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე. ამ ვადის გამოცვლა შეუძლიან მხოლოდ მთავარმართებელს, თუ საჭიროდ დაინახვენ ამისათვის დადგენილნი პირნი ანუ უწყებანი.

არა-რუსის ტომის გლეხნი და მოქალაქენი ამიერკავკასიისანი და თერგისა და ყუბანის ოლქებისანი, მინამ ჯარში არიან, განთავისუფლებულ იქმნებიან ყოველის სახელმწიფო და საზოგადო გადასახადისაგან, როგორც თვითონ ცალკე, ისეც კომლექსულად. ხოლო ბეგარისაგან კი მარტო თვითონ ჯარში მყოფნი იქნებიან თავისუფალნი, ვიდრე ჯარში არიან. ეს შეღავათი არ ეძლევათ მათ, ვინც თავისის ნებით ჯარში შესულია. შინ დათხოვნილ ჯარისკაცად შერიცხულთა¹, ანუ შინიდან ხელახლად ჯარში მოწვეულთა მიეცემათ როგორც თვითონ, აგრეთვე კომლექსულად, ზემოხსენებული შეღავათი მხოლოდ ერთის წლით, იმ დღიდან, როცა შინ დათხოვნილ ჯარისკაცად იქმნებიან შერიცხულნი, ანუ სრულიად დათხოვნილნი.

იგივე შეღავათი², რომელიც ეძლევათ ოჯახობის გარემოებით არა-რუსის ტომის მკვიდრთა კავკასიის მხარისათა, მიენიჭებათ: 1) სიძეს, რომელიც მარტოხელა მუშაა იმისთანა სიმამრის ოჯახში, რომელსაც თვითონ მუშაობა არ შეუძლიან, ან ქვრივის სიდედრის ოჯახში, თუ ზედსიძეთ შესულია ან ერთთან, ან მეორესთან და 2) ოჯახში სრულად მარტოხელ კაცსა.

სომხების ექმიაძინის სასულიერო აკადემიაში მოსწავლეებს, თუ ჯარის-კაცად შესვლის ჯერი ხვდათ წილის ყრითა, ნება აქვთ ითხოვონ განთავისუფლება სწავლის შესასრულებლად იმ დრომდე, ვიდრე ოცდა რვა წლისანი შეიქმნებიან.

რომელიც შეასრულებს სწავლას სომხების სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, იმას სწავლის შესრულების შემდეგ ერთი წელიწადი ვადა ეძლევა, რომ სასულიერო წოდებაში შეირიცხოს და ეს შერიცხვა ათავისუფლებს ჯარში სამსახურისაგან.

¹ Состоящие в запасе.

² იხილეთ Устав воинской повинности, пункт I, 45 ст. აქ ჩამოთვლილნი არიან ისინი, ვისაც შეღავათი პირველის რიგისა ეძლევათ ოჯახობის გარემოებითა.

იმ ახლად გამოსულს ჯარისკაცს, რომელსაც საბუთი აქვს ოჯახობის გარემოებით ითხოვოს შეღავათი, თუნდ წილისყრითაც ჰრგებოდეს ჯარში წასვლა, მაინც ნება აქვს განთავისუფლდეს ჯარში წასვლისაგან, თუ წილისყრამდე ეს უთხოვნია.

ახლად მოკრეფილნი ჯარისკაცნი თერგისა და ყუბანის ოლქისა და ამიერკავკასიისა ჩაყენებულ იქმნებიან სამხედრო სამინისტროს განკარგულებით იმ ჯარებში, რომელნიც განსაკუთრებით იქნებიან შემდგარნი და კავკასიაში დაყენებულნი. ვადად ჯარში ყოფნისა იმათთვის, ვინც წილისყრით შევა ჯარში, დანიშნულია სამი წელიწადი და შინდათხოვნილ ჯარში ყოფნისა კი თორმეტი წელიწადი.

იმ ადგილებში კავკასიის მხარისა, საცა მომენება წვრილისა თუ სხვილის საქონლისა არის უმთავრესი წყარო მკვიდრთა ცხოვრებისა, ჯარში არ-შესვლის ნება ეძლევათ მარტო ერთის წლის ვადით იმას, ვინც თვითონ უვლის თავის საქონელსა და ფარასა. სხვადასხვა ადგილებისთვის სხვადასხვა ნაირად განსაზღვრულ იქნება მთავარმართებლის მიერ, რის ნაკლებ არ უნდა ჰყვანდეს საქონელი იმას, ვისაც სურს ხსენებული შეღავათი მიიღოს.

მაჰმადიანთა სარწმუნოების მკვიდრნი ამიერკავკასიისანი არ იქნებიან ჯარის კაცად გამოყვანილნი ჯერ-ხანად, ვიდრე ახალ განკარგულებამდე, ხოლო ამის სამაგიეროდ გადახდებათ მათ ცალკე გადასახადი ფულად სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

ჯარისკაცთა გამოყვანა და მოკრება უნდა დაიწყოს 1887 წლიდამ, ხოლო ბათუმისა, ართვინისა და სოხუმისა (ოქუმის განყოფილების გარდა), აგრეთვე ყარსისა და ჩერნომორიის ადგილების მცხოვრებთა ჯარისკაცად გამოყვანა დაიწყება 1889 წლიდამ.

ჩვენ მარტო იგი ცნობანი ამოვკრიბეთ უმაღლესად 28 მაისს ამა 1886 წელს დამტკიცებულის ბრძანებისაგან, რომელნიც უფრო საჭიროა საცნობლად ჩვენის ქვეყნის ერისათვის, რადგანაც უფლება და მოვალეობა ჯარად გამოსაწვევის კაცისა ამ ცნობებიდამ საკმაოდ გამოირკვევა.